მუხლი 9. ხელშეკრულების შეწყვეტა

1. ხელშეკრულება ავტომატურად წყდება:
ა) მხარეების მიერ დაკისრებული ვალდებულებების სრულად შესრულებისთანავე;
ბ) შემსყიდველი იურიდიული პირის ლიკვიდაციის შემთხვევაში, თუ მას არ ჰყავს უფლებამონაცვლე.

2. მხარეებს შეუძლიათ ურთიერთშეთანხმებით, ორმხრივად შეწყვიტონ წინამდებარე ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე.
3. მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულება მისი მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე ან უარი განაცხადონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, თუ მეორე მხარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებულ მოვალეობას.

მუხლი 10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა (ხელშეკრულების ცალკეული პირობების შეცვლა, გაუქმება) შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ წერილობითი ფორმით საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.
2. ხელშეკრულებაში ყოველი ცვლილების შეტანა წარმოადგენს გარიგებას და საჭიროებს წერილობით ფორმას, რომელსაც ხელს აწერენ მხარეები.

3. ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილება წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

მუხლი 11. დავის გადაწყვეტა

მხარეები ხელშეკრულებიდან გამომდინარე წარმოშობილ დავებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავების გადასაწყვეტად მიმართავენ საერთო სასამართლოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 12. ფორს მაჟორი

მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობით მეორე მხარისათვის მიყენებული ყოველგვარი ზიანის ანაზღაურებისაგან, თუ ეს გამოწვეულია ფორს-მაჟორული სიტუაციით.

მუხლი 13. სხვა პირობები

1. ხელშეკრულება შედგენილია ორ პირად და ორივე პირს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

2. შემთხვევები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით მოწესრიგდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

3. დაჩქარებული საექსპერტო მომსახურების შემთხვევაში ვადების ათვლა განისაზღვრება „სსიპ – ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში დაჩქარებული